დანართი №18

დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 16 მარტის N 314722 ბრძანებით

2026 წლის კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში მონაწილე პროექტებისათვის დაფინანსების წესი

§ 1. სამეცნიერო კვლევითი პროექტებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზების პროექტების შეფასების შესახებ.

1. კონკურსის პირობებთან შესაბამისობაში მყოფი პროექტები ფასდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს № 172/ნ-ის ბრძანებით განსაზღვრული საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.
2. სამეცნიერო კვლევითი პროექტები და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზების პროექტები გადაეცემა კომისიას, რომელიც მათ შეაფასებს სათანადო ქულებით.

§ 2. კონკურსის ბიუჯეტის განაწილების შესახებ.

1. n_1-ით აღინიშნება I ლოტში (სამეცნიერო კვლევითი პროექტები) დარეგისტრირებული იმ პროექტების რაოდენობა, რომლებიც შეფასებულია 11-ზე მეტი ან ტოლი ქულით. n_2-ით აღინიშნება II ლოტში (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები - **კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონგრესები და ფორუმები)** დარეგისტრირებული იმ პროექტების რაოდენობა, რომლებიც შეფასებულია 32-ზე მეტი ან ტოლი ქულით. n_3-ით აღინიშნება II ლოტში (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები - **სეზონური სკოლები)** დარეგისტრირებული იმ პროექტების რაოდენობა, რომლებიც შეფასებულია 32-ზე მეტი ან ტოლი ქულით. n_4 -ით აღინიშნება მეორე ლოტში (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება- კომბინირებული ღონისძიება) დარეგისტრირებული იმ პროექტების რაოდენობა, რომლებიც შეფასებულია **32**- ზე მეტი ან ტოლი ქულით. საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება- კომბინირებული ღონისძიება არის დამატებითი ღონისძიება, რომელიც გულისხმობს კონფერენციისა და სეზონური სკოლის ერთობლივ ჩატარებას. კომბინირებული ღონისძიება მიეკუთვნება მეორე ლოტის (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება- კონფერენციები, კონგრესები, ფორუმები, სიმპოზიუმები) .

1.

2. N- ით აღინიშნება

$$N = 6n_1 + 4n_2 + 3n_3 + 7n_4$$

3. I ლოტისათვი განისაზღვრება კოეფიციენტი შემდეგი ფორმულით:

$$k_1 = \frac{6n_1}{N};$$

II ლოტისათვის (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები - **კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონგრესები, ფორუმები და კომბინირებული ღონისძიება**) განისაზღვრება კოეფიციენტი შემდეგი ფორმულით:

$$k_2 = \frac{4n_2 + 7n_4}{N} ;$$

II ლოტისათვის (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები - **სეზონური სკოლები**) განისაზღვრება კოეფიციენტი შემდეგი ფორმულით:

$$k_3 = \frac{3n_3}{N} ;$$

4. I ლოტისათვის ბიუჯეტი განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$b_1 = Bk_1.$$

II ლოტისათვის (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები - **კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონგრესები, ფორუმები და კომბინირებული ღონისძიება**) ბიუჯეტი განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$b_2 = Bk_2,$$

II ლოტისათვის (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები - **სეზონური სკოლები)** ბიუჯეტი განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$b_3 = Bk_3,$$

სადაც, b_1 I ლოტის ბიუჯეტია, b_2 II ლოტის (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები- **კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონგრესები, ფორუმები და კომბინირებული ღონისძიება)** ბიუჯეტია, b_3 II ლოტის (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები- **სეზონური სკოლები)** ბიუჯეტია, ხოლო B არის კონკურსის ბიუჯეტია.

§ 3. დაფინანსების წესი.

1. I ლოტისათვის, II ლოტისათვის (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები- **კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონგრესები, ფორუმები და კომბინირებული ღონისძიება) და** II ლოტისათვის (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები- **სეზონური სკოლები)** ცალ-ცალკე კეთდება ქულების მიხედვით პროექტების რანჟირებული სია.

2. I ლოტისათვის (სამეცნიერო კვლევითი პროექტები) ფინანსდება მხოლოდ 11-ზე მეტი ან ტოლი ქულით შეფასებული პროექტები შესაბამისი რანჟირებული სიის მიხედვით (ზემოდან ქვემოთ) სანამ ლოტისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი სრულად იძლევა პროექტის დაფინანსების საშუალებას.

II ლოტისათვის (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები - **კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონგრესები, ფორუმები და კომბინირებული ღონისძიება)** ფინანსდება მხოლოდ 32-ზე მეტი ან ტოლი ქულით შეფასებული პროექტები შესაბამისი რანჟირებული სიის მიხედვით (ზემოდან ქვემოთ) სანამ შესაბამისი ბიუჯეტი სრულად იძლევა პროექტის დაფინანსების საშუალებას.

II ლოტისათვის (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები - **სეზონური სკოლები)** აგრეთვე ფინანსდება მხოლოდ 32-ზე მეტი ან ტოლი ქულით შეფასებული პროექტები შესაბამისი რანჟირებული სიის მიხედვით (ზემოდან ქვემოთ) სანამ შესაბამისი ბიუჯეტი სრულად იძლევა პროექტის დაფინანსების საშუალებას.

3. r_1-ით აღინიშნება თანხის ოდენობა, რომელიც ნაშთის სახით დარჩება I ლოტში. r_2- ით აღინიშნება თანხის ოდენობა, რომელიც ნაშთის სახით დარჩება II ლოტში (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები- **კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონგრესები, ფორუმები და კომბინირებული ღონისძიება)**, ხოლო r_3- ით აღინიშნება თანხის ოდენობა, რომელიც ნაშთის სახით დარჩება II ლოტში (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები - **სეზონური სკოლები)**.

4. R- ით აღინიშნება ნაშთის სახით დარჩენილი თანხათა ჯამი:

$$R= r_1+ r_2+ r_3.$$

5. R თანხით ფინანსდება[1] ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ შერჩეული დაფინანსების გარეშე დარჩენილი, რანჟირებული სიების მიხედვით, რეიტინგით საუკეთესო პროექტი/პროექტები პირველი ან მეორე ლოტიდან, რომელიც/რომლებიც აკმაყოფილებს დაფინანსების მოპოვების აუცილებელ პირობას.

6. ზემოაღნიშნული პროცედურის შემდეგ, ნაშთის სახით დარჩენილი თანხა, რომელიც არ იქნება საკმარისი რიგით შემდეგი პროექტის დასაფინანსებლად, დაბრუნდება ფონდის ბიუჯეტში.

[1] რა თქმა უნდა, თუ R თანხა იძლევა პროექტის (პროექტების) სრულად დაფინანსების საშუალებას